ძმაო ლადო. როგორა ხარ? ამდენ ხანს წერილს როგორ არ გამოგიგზავნიდი, მაგრამ ვაი რომ ჩემი თავი მე არ მეკუთვნის. სადა ვარ და რას ჩავდივარ, მე თვითონ არ ვიცი. თბილისში მნიშვნელოვანი დიდი ხანია არაფერი მომხდარა და არც მოხდება ალბათ. შენი წასვლის შემდეგ მეტი მოწყენილობა და მყუდროებაა. ჯაბუშანურის საღამომ მშვიდობით ჩაიარა. სიმონმა ილაპარაკა პოეზიის ზოგად საკითხებზე და უნდა გენახა, რა სიამოვნებით უსმენდა მთელი დარბაზი. რა უვიცობაა! რა გონებრივი სიდამპლეა! კაცი არ არის, რომ გაიგოს რამე, რამე ესმოდეს. სხვათა შორის კალანდაძე აუტანელი ტიპია. ასე მგონია ხელებზე და სახეზე ლორწო აქვს. იქნებ ჩემი ასეთი ზიზღი მეტისმეტია, მაგრამ რა ვქნა; მეჯავრება ყველა მახინჯი და გაიძვერა, მიყვარს ამაყი და ჯიშიანი კაცი.

სხვა, ლადო აქ გავიგეთ, რომ "მაზგავოის" წამალი იქაც ყოფილა. სანატორიუმის ექიმს ექნება. შენ გამოართვი და იხმარე იქ ყოფნისას. აქ რომ ჩამოხვალ იმ დროისათვის ~~ერთ-~~ალხი ერთი იშოვის კიდევ. ნუ მოიწყენ და კარგად იყავი. ლექსები დაწერე ბევრი, უსაქმოდ ყოფნა უარესია.

რეზო კარგად არის. ეთერიმ და ვახტანგიმ მოგიკითხეს.

ლადო, იყიდე კარაქი ~~და/~~ კერძოდ და ჭამე. ეგ მთავარია.

ალიოშა.